



ცესკო

საპროექტო-სარეგისტრაციო
აღმნიშვნელობა

**საქართველოს საარჩევნო
აღმნიშვნელობის
გენდერული თანასწორობის
პოლიტიკა**


შესავალი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მისიაა, ხელი შეუწყოს დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობასა და გაძლიერებას თავისუფალი, სამართლიანი, სანდო და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარების გზით. საარჩევნო ადმინისტრაცია პასუხისმგებელია ისეთი არჩევნების ჩატარებაზე, რომელთა მიმართ პროცესის მონაწილეებს ექნებათ ნდობა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ქალებსა და კაცებს, როგორც ამომრჩევლებს, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებსა და საარჩევნო მოხელეებს, პოლიტიკური გაერთიანებების, სამოქალაქო საზოგადოების წევრებსა და კანდიდატებს, საარჩევნო პროცესში მონაწილეობის თანაბარი პირობები ექნებათ შექმნილი.

საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ადმინისტრაციის სახელმძღვანელო პრინციპებსა და მიზნებს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს გენდერულ თანასწორობას ამომრჩევლებში, კანდიდატებში, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებსა და თანამშრომლებში.

საარჩევნო ადმინისტრაცია აცნობიერებს, რომ გენდერული თანასწორობა პოლიტიკურ მონაწილეობაში საქართველოს დემოკრატიისა და გრძელვადიანი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა და აქტიურად ცდილობს საარჩევნო პროცესებში გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას. ამ მიზნით 2011 წელს ცესკომ დააარსა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი კომისია (ამჟამად „საბჭო“), რომელსაც დააკისრა პასუხისმგებლობა საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული პოლიტიკის შექმნასა და განხორციელებაზე.

პოლიტიკის წინამდებარე დოკუმენტის მიღებით დასტურდება, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას აქვს ერთიანი, პროცესზე დაფუძნებული მიდგომა, რომლის მიხედვითაც საარჩევნო პროცესებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. ცენტრალური საარჩევნო კომისია ძალისხმევას არ დაიშურებს, რომ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა და ხელი შეუწყოს ისეთი საარჩევნო გარემოს შექმნას, რომელშიც თანაბრად მიიღებენ მონაწილეობას როგორც ქალები, ისე კაცები.



წყარო: World Economic Forum, The Global Gender Gap Report 2015; <http://reports.weforum.org/global-gender-gap-report-2015>

საარჩევნო ადმინისტრაციას, როგორც არჩევნების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ინსტიტუციას, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საარჩევნო პროცესებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

საარჩევნო ადმინისტრაციის სახელმძღვანელო პრინციპები და ვადლებულები

საარჩევნო ადმინისტრაცია აღიარებს გენდერული თანასწორობის პრინციპებს და აცხადებს, რომ მის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი თუ განხორციელებული საქმიანობა შესაბამისობაში იქნება ამ პრინციპებთან და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან, რომლის მიხედვით „ყველა ადამიანი დაბადებით თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი, წოდებრივი და საცხოვრებელი ადგილისა“.

საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისთვის ცესკო ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- ქალთა და კაცთა თანაბარი მონაწილეობა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რაც უზრუნველყოფილია და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით, საქართველოს კანონით „გენდერული თანასწორობის შესახებ“ და საქართველოს მიერ ხელმოწერილი და რატიფიცირებული ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, მათ შორის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით“ და კონვენციით „ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“¹;
- ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩასატარებლად და საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ხელშესაწყობად;
- გენდერული როლები და სტერეოტიპები უარყოფით გავლენას ახდენენ ქალებისა და კაცების თანაბარ მონაწილეობაზე არჩევნებსა და სხვა დემოკრატიულ პროცესებში;
- არჩევნებსა და სხვა დემოკრატიულ პროცესებში თანასწორობის საფუძვლებზე მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანია ქალებისა და კაცების თანაბარი წარმომადგენლობა ხელისუფლებაში, რაც უზრუნველყოფს მათ თანაბარ წვდომას საჭირო რესურსებზე;
- გენდერული ბალანსისკენ სწრაფვა გადანყვეტილების მიღების პროცესში მნიშვნელოვანია დემოკრატიული მმართველობის ხარისხის უზრუნველყოფისათვის;

1 იხილეთ დანართი საერთაშორისო და ადგილობრივი კანონებისა და დოკუმენტების ჩამონათვალით.

- ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა არის საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის შემადგენელი ნაწილი, რათა საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონდეს საარჩევნო პროცესში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა (საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმა პრიორიტეტი 3, მიზანი 4: გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა);
- საარჩევნო ადმინისტრაციის ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ისეთი ქმედებების პრევენციისა და აღმოფხვრისკენ, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ქალების, როგორც ამომრჩევლების, კანდიდატებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების, მონაწილეობაზე;
- საარჩევნო ადმინისტრაცია თავისი უფლებამოსილების და შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს ყველა სახის პოლიტიკასა და საქმიანობაში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას;
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა არჩევნებში ჩართული ყველა მხარის საერთო პასუხისმგებლობაა. საარჩევნო ადმინისტრაცია, როგორც საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი მონაწილე, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მხარს დაუჭერს გენდერულ თანასწორობას და განახორციელებს ამ დოკუმენტით განსაზღვრულ პოლიტიკას;
- გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების პროცესში საარჩევნო ადმინისტრაცია თანამშრომლობს არჩევნებში ჩართულ ყველა მხარესთან, მათ შორის სამთავრობო უწყებებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის დაცვით.

მიზანი და ამოცანები

წინამდებარე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მიზანია ქალებისა და კაცების უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციისთვის თანაბარი პირობების შექმნა საარჩევნო ადმინისტრაციის ადამიანური, ფინანსური და სხვა რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზით.

ამოცანები:

1. საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული თანასწორობის პრევენციისა და საარჩევნო პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობისთვის.
2. ინსტიტუციური პრაქტიკისა და პოლიტიკის დანერგვა გენდერული თანასწორობის მიღწევისა და სამუშაო ადგილებზე ქალების გაძლიერებისთვის.
3. პროგრამების შემუშავება და მათში დაინტერესებული მხარეების ჩართვა საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად და ქალთა გასაძლიერებლად.

ამოცანა 1: საარჩევნო ადმინისტრაციის ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული თანასწორობის პრევენციისა და საარჩევნო პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობისთვის

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განსახორციელებლად საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარებას, რათა ეფექტიანად გადაჭრას საარჩევნო პროცესში ქალთა და კაცთა თანაბარი მონაწილეობასა და წარმომადგენლობასთან დაკავშირებული გამოწვევები.

აღნიშნული ამოცანის მისაღწევად საარჩევნო ადმინისტრაცია განახორციელებს შემდეგ საქმიანობებს:

1. საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებისა და თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება გენდერის ძირითადი ცნებების, გენდერული ანალიზისა და პრაქტიკაში გენდერული ასპექტების გათვალისწინების შესახებ.
2. საარჩევნო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალებისა და კაცების თანაბარი მხარდაჭერა და წახალისება მათი კომპეტენციისა და პროფესიონალიზმის გათვალისწინებით.
3. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს მხარდაჭერა, რათა საბჭომ შეძლოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაში ქმედითი როლის შესრულება.
4. ქალებისა და კაცების საარჩევნო პროცესში მონაწილეობის მაქსიმალურად გაზრდისთვის სხვადასხვა ტიპის ანალიზის და კვლევის განხორციელება (მაგ. გენდერული აუდიტი).
5. გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.
6. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და ანალიზი.
7. გენდერული თანასწორობის მხარდაჭერისა და ქალების გაძლიერებისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფა/მოძიება.
8. საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელ პროექტებში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება საპროექტო მიმართულებების გათვალისწინებით.

ამოცანა 2: ინსტიტუციური ვრცობისა და პოლიტიკის დანერგვა გენდერული თანასწორობის მიღწევისა და საშუალო აღზიდვით კადრების გაძლიერებისთვის

საარჩევნო ადმინისტრაცია აცნობიერებს, რომ გენდერული თანასწორობისადმი პოზიტიური დამოკიდებულებისა და განწყობის წახალისებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციაში დანერგილი პოლიტიკა, სისტემა და პრაქტიკა. საარჩევნო ადმინისტრაცია ხელს უწყობს ისეთი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას, რომელშიც თანაბრად შეფასდება ქალებისა და კაცების საქმიანობა, აგრეთვე ისეთი სამუშაო გარემოს შექმნას, სადაც გენდერული თანასწორობისადმი სწრაფვა აღქმული იქნება როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის მანდატის განუყოფელი ნაწილი.

აღნიშნული ამოცანის მისაღწევად საარჩევნო ადმინისტრაცია განახორციელებს შემდეგ საქმიანობებს:

1. ადამიანური რესურსების შერჩევის ან/და დასაქმების ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც არ დაუშვებს საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა შორის უთანასწორობას გენდერული ნიშნით.
2. თანამშრომელთა შეფასებისას გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებაში მათი ძალისხმევის გათვალისწინება.
3. თანამშრომელთა საქმიანობის გენდერულად მიუკერძოებელი შეფასება.
4. თანამშრომელთა კარიერულ განვითარებაში გენდერული ბალანსის გათვალისწინება.
5. ოფიციალურ დელეგაციებში, სასწავლო ვიზიტებსა და სამუშაო ჯგუფებში, შესაძლებლობის ფარგლებში, გენდერული ბალანსის დაცვა.
6. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაზე ანგარიშვალდებულების გაზრდა, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებისა და თანამშრომლების სტატისტიკური მონაცემების გენდერული ნიშნით შეგროვების, გენდერულად მგრძობიარე ინდიკატორების შემუშავების, საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული საქმიანობის პერიოდული ანალიზის, გენდერული ინიციატივებისა და მათი განხორციელებისათვის საჭირო შესაბამისი ფინანსების შეფასებისა და ყოველწლიური ანგარიშების მომზადების გზით.
7. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკაში გენდერულად მგრძობიარე მიდგომების დანერგვა, რაც დაიცავს თანამშრომლებს სექსუალური ხასიათის არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური შევიწროვებისგან.

ამოცანა 3: პროგრამების შემუშავება და მათში დაინტერესებული მხარეების ჩართვა საარჩევნო პროცესში გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად და კადრთა გასაძლიერებლად

საარჩევნო ადმინისტრაცია აცნობიერებს, რომ გენდერული უთანასწორობა ზიანს აყენებს საზოგადოებას, ამიტომ საჭიროა სპეციალური პროგრამები, რომლითაც მოხდება ქალთა საჭიროებების დადგენა და ანალიზი. საარჩევნო ადმინისტრაცია შექმნის პროგრამებს, რითაც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებას.

აღნიშნული ამოცანის მისაღწევად საარჩევნო ადმინისტრაცია განახორციელებს შემდეგ საქმიანობებს:

1. საარჩევნო პროცესში ქალებისა და კაცების (როგორც ამომრჩევლების, არჩეული თანამდებობის პირების, კანდიდატების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წევრების) თანაბარი მონაწილეობის ხელისშემშლელ სოციალურ, კულტურულ და სამართლებრივ გამოწვევებზე ფოკუსირებული კვლევების, ტრენინგების, ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების განხორციელება.
2. საარჩევნო პროცესში ქალთა მონაწილეობის ხელშესაწყობად ამომრჩეველთა საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება.
3. შებლუდული შესაძლებლობის მქონე, ეთნიკური უმცირესობების ან სხვა მონაცვლადი ჯგუფების წარმომადგენელი ქალებისთვის სასწავლო-საინფორმაციო კამპანიების წარმოება.
4. გენდერულ ჭრილში დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება პროგრამების დასაგეგმად.
5. პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობა გენდერული თანასწორობის შესახებ საინფორმაციო შეხვედრებისა და დისკუსიების ორგანიზების გზით;
6. სამოქალაქო საზოგადოებასთან და ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან კონსულტაციების წარმოება.
7. საგრანტო კონკურსების გამოცხადებისა და საგრანტო განაცხადების განხილვისას გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება.
8. მედიის (მათ შორის სოციალური მედიის) ჩართვა და წახალისება საარჩევნო პროცესის მრავალმხრივი და ინკლუზიური გაშუქების მიზნით.

პოლიტიკის განხორციელება და ანგარიშგება

გენდერული თანასწორობის დამკვიდრებასა და ქალთა გაძლიერებაზე ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას იზიარებს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი.

საარჩევნო ადმინისტრაცია გენდერული თანასწორობის პოლიტიკას განახორციელებს თავის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში გენდერული თანასწორობის საკითხების გათვალისწინებით.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების შეფასება მოხდება დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე ყოველწლიური ანგარიშის საფუძველზე.

საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დანერგვასა და შესრულებაზე მონიტორინგს განახორციელებს ცესკოს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ძირითადი დოკუმენტები:

ძირითადი საკანონმდებლო აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ (მიღებულია 2010 წლის 26 მარტს).
3. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (მიღებულია 2014 წლის 2 მაისს).
4. „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმა“ (დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 24 იანვარი).

ძირითადი საერთაშორისო აქტები

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948).²
2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (1966).³
3. კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღკვეთის შესახებ (CEDAW).⁴
4. „პეკინის დეკლარაცია და მოქმედებათა პლატფორმა თანასწორობის, განვითარებისა და მშვიდობისათვის“, ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენცია (1995).
5. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325: ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება.⁵

2 ბმული: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=100>

3 ბმული: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335>

4 ბმული: <http://www.feminizmi.org/wp-content/uploads/2015/02/CEDAW-GEO.pdf>

5 ბმული: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N00/720/18/PDF/N0072018.pdf?OpenElement>